# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 273 სამშაბათი, 8 დეკემბერი 1909 წ. № 273

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეძლევა.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლების და დეპუტატების საკრებულო ულრმესის მწუხარებით აუწყებს გარდაცვალებას კავკასიის ყოფილ უავგუსტოესის ნამესტნიკის

მის იმპერატორობითი უმაღლესობის

დიდის მთავრის

მიხეილ ნიკოლოზის ძისას.

ღვთივ განსვენებულის დიდი მთავრის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადახდილი იქნება 9 ამა დეკემბერს სიონის საკათედრო საკრებულო ტაძარში. (2—6.—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ფრეილინის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა სახლში, **გადახდილი იქნება პანაშვიდი** ღვთის გარდაცვალებულის

მის იმპერატორობით უმაღლესობის

დიდის მთავრის

მიხეილ ნიკოლოზის ძის

სულის მოსახსენებლად. (1—6.—1)

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს,

იოსებ (ტატო) დავითის ძე გაბაშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10, პანაშვიდი $11^1/_2$ საათზე. (1—570—1)

სოფ. ბაზნევში გარდაიცვალა

სიმონ ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **მატრონა**, ძმა **დავითი** და ძმლები **ელენე** და **ეკატერინე აბდუშელიშვილნი**. პანაშვიდი ყოველ დღე. დასაფლავება 10 დეკემბერს იახვისის ეკლესიის გალავანში. (2—კვ.—1)

**ძმები ისიდორე** მეუღლით **ნიმფადორათი, სილოვან და ევგენი კვიცარიძეები და და მაშო ასათიანი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას მამის მღვდლის

გრიგოლ სიმონის ძის კვიცარიძისას.

პანაშვიდი ყოველდღე. დაკრძალვა სამშობლო სოფელს ოფიჩხეთში (ქუთაისიდან 11 ვერსზე) სამშაბათს, 8 დეკემბ., ნაშუადღევის 4 საათ. (2—კვ.—2)

# გლეხი-კაცის ისტორია

**მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა**. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი**.

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება**.

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა**.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია**.

(20—3)

წარმოდგენა № 21. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 21.

**აბონიმენტი მე-9**

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა **ს. გლახაშვილისა**.

## წყურვილი

დრამა 4 მოქმედებად.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები.

**ადგილების ფასი**: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან“ ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**საიუბილეო წარმოდგენა**

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, 1909 წელს.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე ქ-ნ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა** და **ე. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით გამართავს **საიუბილეო** წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

## ხანუმა

კომ. 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს წრესთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 19 დეკემბერს.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ვახვახიშვილი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სხბოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—57)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—124)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—8)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცსა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ზალ.—79)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—6.—17)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—65)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სადგლი ფირალოვისა. (0—კვ.—120)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მისე ქიქოძის სახლი. (0—უ.—66)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**— ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—6.—125)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—314)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.**

ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ღრთქლის განებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—16)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი გ. მაგაკიანი** **შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—58)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესადგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—76)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ზელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—61)


# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6—7 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ**

**ვენა.** ფრიდიუნგის პროცესი. სხდომის დროს თავის სურვილით მოწმად გამოცხადდა სერბიის გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი სპაილაევიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ მოვედი დავიცვა ორივე სახელმწიფოთა მეგობრული დამოკიდებულება, გავანთავისუფლო ჩემი თავიც და სამშობლოც მეტად დიდ ბრალდებათაგანაო. სპალაიკოვიჩი ამტკიცებდა, რომ ფრიდიუნგის მიერ წარმოდგენილი საბუთები ყალბადაა შედგენილი და ნამდვილად არ არსებულიაო. თუ ჩემს დასამტკიცებელ საბუთებში ეჭვს შემოიტანთ სერბიის მთავრობა მიმართავს დიდ სახელმწიფოებს და სთხოვს, რომ მათმა ბელგრადელმა წარმომადგენლებმა გაშინჯონ გარეშე საქმეთა სამინისტროს საქმის ქაღალდები და დარწმუნდნენ სპალაიკოვიჩის ჩვენების სინამდვილეში. მინისტრ მილოვანოვიჩის სახელით სპალაიკოვიჩმა განაცხადა, რომ სერბიის მთავრობას არას დროს არა ჰქონია კავშირი ზაგრების სერბ-ხორვატელთა შეთქმულებთან და არას დროს არ გაუწევია ავსტრო-ჰუნგრეთში „დიდ-სერბიის“ სასარგებლო აგიტაცია. ფრიდიუნგმა ილაპარაკა და ეჭვის თვალით შეხედა მოწმის სპაილაკოვიჩის ჩვენებას.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. 4 დეკემბრის სხდომაზედ გალერეიდან ობსტრუქციის მომხრეებს უყვირეს. გალერეიდან ხალხი გაიყვანეს. თავმჯდომარემ ძლივს-ძლივობით შესძლო წესიერების დამყარება.

**ფეცი** გარდაიცვალა ალდი. ალდი მეთაური იყო რიფის მცხოვრებლების იმ ნაწილისა, რომელიც ესპანიის წინააღმდეგ მოქმედებდა.

**პარიზი.** გამომძიებელმა სისხლის სამართალში მისცა რუსი ტერორისტი ბერლინოვი და მარტინოვი. ბრალდებათ ასაფეთქებელ მასალების გაკეთება და შენახვა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. გავლენიან პარტიების ლიდერები შეთანხმდნენ დაიჩქარონ განხილვა. პალატის შინაურ მუშაობის წესების შეცვლის შესახებ პროექტისა. ჩეხმა-აგრარიებმა უკან წაიღეს თავიანთი სწრაფი შეკითხვები, რომ პალატის შინაურ მუშაობის წესების შეცვლის შესახებ პროექტი განიხილონ პალატამ. დეპუტატთა პალატა უკვე შეუდგა ამ პროექტის განხილვას. აქნობამდის არ შეწყვეტილა პალატის სხდომა, რომელიც 2 დეკემბერს, დილის 11 საათზედ დაიწყო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონიის მთავრობა სცდილობს სხვა და სხვა სახელმწიფოებთან ახალი სავაჭრო ხელშეკრულებანი დასდოს. იაპონია შეიმუშავებს სადამოჟნო გადასახადის განსაკუთრებულ ნიხრს. იაპონიას აზრად აქვს შინა მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყოს.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. სიტყვა წარმოსთქვა მინისტრ პრეზიდენტმა სონნინომ. სონნინომ პალატას ახალ სამინისტროს პროგრამმა გააცნო. სონნინომ სთქვა: გადასახადების შემცირება ამხანად ყოვლად შეუძლებელია. მთავრობის მთავარი მიზანი იქნება, დაიცვას შრომა და კაპიტალი, ორი მთავარი ღერძი სახელმწიფოს კეთილდღეობისა. ახალ სამინისტროს აზრად აქვს საზღვაო და სამხედრო რეფორმა თანდათანობით განახორციელოს. იტალიას სხვა სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი აქვს. სამთა კავშირი მარტო მშვიდობიანობის გარანტია კი არ არის, არამედ იგი იტალიის ინტერესების დამცველიცაა. იტალიის პოლიტიკას მიზნათ აქვს მშვიდობიანობის დაცვა. ახალ მთავრობას აზრად აქვს ხელი შეუწყოს სინიდისის თავისუფლებას, რამდენადაც ეს თავისუფლება სხვის უფლებებს და საზოგადო წესიერებას არ არღვევსო.

**ხარბინი.** პეკინის სასწავლებლებში მოსწავლე მანჯურიის მკვიდრნი სამშობლოში დაბრუნდნენ. რადგან ეს გარემოება მოსალოდნელ ომის შესახებ ხმებმა გამოიწვიეს, ამიტომ მუკდენის ვიცე-კოროლს პეკინიდან მოწერილობა მოუვიდა, ადგილობრივ ადმინისტრაციის ბრძანება დაუგზავნეთ, რომ ქუჩებში განცხადებები გააკრან და ხალხი დააშვიდონო.

**ლისსაბონი** სამინისტრომ მეფეს თხოვნა მიართვა ნება მოგვეცით სამსახურიდან გადავდგეთო. მეფემ შეიწყნარა სამინისტროს თხოვნა. მეფე მოლაპარაკებას გამართავს ქვედა და ზედა პალატების პრეზიდენტებთან.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. გალიციაში მცხოვრებმა რუსებმა პროტესტი განაცხადეს დეპუტატთა პალატის შინაურ მუშაობის წესების შეცვლის შესახებ, ყველაფერი ეს მცირერიცხოვან პარტიების წინააღმდეგ არის მიმართულიო. გავლენიან პარტიების ლიდერებმა მოითხოვეს, პალატის შინაურ მუშაობის წესების შეცვლის შესახებ პროექტი საჩქაროდ უნდა ღებულობითო. დეპუტატთა პალატამ უცვლელად მიიღო პროექტი. პროექტით თავმ-

ჯდომარეს უფლება აქვს თავისით პალატის 1—3 სხდომაზედ არ დაუშვას დეპუტატი, რომელიც მის განკარგულებას არ დაემორჩილება, ან შეურაცყოფას მიაყენებს თავმჯდომარეს. ამ წესებს ერთი წლის ვადით იღებენ. ამ პროექტის განხილვას პალატამ 86 საათი მოანდომა. 86 საათის განმავლობაში განუწყვეტელი სხდომა ჰქონდა პალატას.

**პარიზი.** ქალაქის საბჭოს სადგომის ახლო ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა. დემონსტრანტები თხოულობდნენ კვირაობით სავაჭრო დაწესებულებების დაკეტვას. დემონსტრანტებს შეტაკება მოუვიდათ პოლიციელებთან. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

### რ უ ს ე თ ი

**პერმი.** ბოგოსლოვსკის რკინის გზაზედ ლიანდაგიდან გადავარდა სამუშაო მატარებელი. მძიმედ დაშავდნენ მემანქანე, მისი თანაშემწე, კონდუქტორი და ერთი ბავშვი. მემანქანეს თანაშემწე უკვე გარდაიცვალა.

**კიევი.** ადმინისტრაციამ დახურა კიევის გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. პოლიციის სიტყვით, კრებაში გარეშე პირებიც იღებდნენ მუშაობას.

**პოლტავა.** დააპატიმრეს ორი სპარსელი, რომლებიც ყალბ ოქროს ფულს ასაღებდნენ. მათ აღმოაჩნდათ 1175 ცალი ფული.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია გაზეთ „პეტერბურგსკი ლისტოკის" რედაქტორის სკრობოტოკის და ამავე გაზეთის თანამშრომლის ლიჩკუსის საქმე. ბრალდებოდათ მთავრობის შესახებ ყალბ ცნობების გავრცელება. სასამართლომ გადაუწყვიტა: სკრობოტოვს 100 მანეთით დაჯარიმება, ლიჩკუსს ერთი თვით დაპატიმრება.

**პლოცკი.** სამი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა რამუტოვის სასოფლო სამართველოს. ბოროტგანმზრახველებმა გაიტაცეს 70 პასპორტის ბლანკი.

**სევასტოპოლი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია რამდენიმე კაცის საქმე. ბრალდებოდათ 1907 წელში სამხედრო რაზმის შედგენა და ასაფეთქებელ მასალათა შენახვა და მომზადება. სასამართლომ ყველას ათ-ათი წლით კატორგა გადაუწყვიტა.

**ლიბავა.** ორი დღეა, რაც ზღვაზედ დიდი ქარიშხალია.

**მოსკოვი.** ხოლერით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2 კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 2, არავინ გარდაცვლილა, ავად არის 30 კაცი.

†

# დიდი მთავარი
## მიხეილ ნიკოლოზის ძე

დეპეშათა სააგენტომ გუშინ გვაცნობა, რომ ქალაქ კანნში 5 დეკემბერს გარდაცვლილა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. განსვენებული დიდი მთავარი მესამოცე წლებში დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკად და ამ თანამდებობას ასრულებდა 1883 წლამდე. იმის დროს კავკასიაში განხორციელებულ იქმნა უმთავრესი რეფორმები იმპერატორის ალექსანდრე მეორის ხანისა: გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობისაგან, სასამართლო რეფორმა და სხვა. განსვენებული უკვე ღრმად მოხუცებული იყო და ბოლოს დროს ხშირად ავადმყოფობდა.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **კანონ-პროექტი.** სახელმწიფო საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი ბათუმის და ყარსის ოლქების დაბა-ქალაქებში მიწის საკუთრებად დამტკიცების წესრიგის შესახებ. საბჭოს წევრის თავ. ერისთავის წინადადებით, საბჭომ გამოაცხადა სურვილი, რომ მთავრობამ დააჩქაროს მუშაობა ასეთისავე კანონ-პროექტისა სოფლის მიწების შესახებ.

✦ **ეპისკოპ. მოტყუება შანტაჟისტების მიერ.** შაბათს, 5 დეკემბერს, ქართლ-კახეთ იმერე. სომხთა ეპარქიის უფროს ეპისკოპოსს სატუნიანცთან მისულა ერთი უცნობი და ეპისკოპოსისათვის გადაუცია სომეხ საქველ მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის არუთინიანცის სახელით ბარათი. ბარათში არუთინიანცი ვითომ სწერდა ეპისკოპოსს: ხვალ კვირაა და ბანკები დაკეტილია. მე კი დღეს სალამოთი უნდა წავიდე ბაქოში. გთხოვთ 200 მანეთი მათხოვოთ და მალე მოგართმევთო. ეპისკოპოს თან 80 მანეთზე მეტი არ ჰქონია. 120 მანეთი არქიმანდრიტ ეფრემისთვის გამოურთმევია და ფული უცნობისთვის გადაუცია. ცოტა ხანს შემდეგ ეპისკოპოს ბარათი ხელმეორედ წაუკითხავს და რადგან ეჭვი შეჰპარვია, ტელეფონით არუთინოვის მეუღლეს შეჰკითხებია. უპასუხნიათ, არუთინოვი უკვე ოთხი დღეა ბაქოში წავიდაო. მაშინ მიმხვდარა ეპისკოპოსი, რომ იგი შანტაჟისტებმა მოატყუეს.

✦ **პოლიციელის მოკვლა.** 6 დეკემბერს, სალამოს 7 საათზე, სურფ მინასის ქუჩაში სურფ-მინასის ეკლესიის შესავალ კარებში უცნობებმა ხუთჯერ რევოლვერი ესროლეს „გოროდოვოის" ხაჩატურ გეურქოვს და იქვე მოჰკლეს. სროლის დროს შემთხვევით მიმავალს, ნორიოს მცხოვრების ბორჩენაშვილის 12 წლის ქალს ბაბალეს მოჰხვდა ტყვია და ისიც იქვე მოკვდა. მკვლელები მიიმალნენ.

✦ **ყუმბარები.** 5 დეკემბერს ღამე ტფ. პოლიციელებმა ტფილისში გათხარეს სამოსახლო მიწა დავით ალექ. არეშიძისა და ნახეს ჩაფლული ყუმბარა. 5 დეკემბერს განაგრძეს თხრა და ჩხრეკა. აღმოაჩინეს კიდევ რევოლვერი და 43 პატრონი. ამ საქმის გამო რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

✦ **სწავლა დამთავრებულნი.** როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ თოთხმეტ ნოემბერს დასრულდა გამოსაცდელი ეგზამენები სამხედრო საექიმო აკადემიაში. 138 სტუდენტიდან კურსი დაუსრულებია 110 კაცს. გამომცდელ კომისიას პრემიები მიუცია აკადემიის წარჩინებულად გათავებისათვის: ხუნდაძისათვის—პირველ ხარისხისა, პავლოვსკისათვის—მეორე ხარისხისა და ანიჩკოვისათვის—მესამე ხარისხისა.

✦ **მეორე გაზაფხული.** გაგრაში (შავი ზღვის პირად) მშვენიერი დარებია თურმე. ხეხილს ყვავილი გამოუტანია. ყვავილებიც აყვავებულა მცხოვრებნი ლიმონს და ფორთოხალს ჰკრეფენ.

✦ **ნამესტნიკის დაბრუნება.** კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ დაშკოვი 7 დეკემბერს, დილის 11 საათზე, დაბრუნდა ბაქოდან, სადაც იგი ეკლესიის და სალიანის პოლკის ყაზარმების კურთხევას დაესწრო.

✦ **ნიხრი დაამტკიცა.** გუბერნატორმა დაამტკიცა ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ასეთი ნიხრი დაწესდა: ძროხის ხორცი გირვანქა—11 კაპ., ცხვრის ხორცი—12 კ., კამეჩისა—7 კაპ., ღორისა გატყავებული—14 კაპ., ტყავიანი—13 კ.

✦ **ქართული ჟურნალი ბაქოში.** „კასპის" სიტყვით, ბაქოს გრადონაჩალნიკს პ. ლ. გელოვანისთვის ნება დაურთავს გამოსცეს ბაქოში ყოველ-კვირეული ქართული ჟურნალი „მარცვალი".

✦ 4—6 დეკემბერს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებულნი და თავიანთნებით დაბრუნებულნი პარმენ გიორგაძე, მიხეილ გიკაშვილი, კონსტანტინე ეფრემენი, ივანე სოხაშვილი. ჩხრეკის დროს დააპატიმრეს: პოლიციის მე-4 ნაწილში-5 მე 8 ნაწილში-3 მე-11 ნაწილში-25 და მე-2 ნაწილში-26 უპასპორტო კაცი. შუა ბაზარში ჩხუბი მოუვიდათ ყასბებს ალექსი ნაცვლიშვილსა და ვერმიშევს. ნაცვლიშვილმა დანით დასჭრა ვერმიშევი დამნაშავე დააპატიმრეს.

# წ.-კ. საზოგადოების წლიური კრება

6 დეკემბერს ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში, დ. გ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა წლიური კრება წ.-კ. საზოგადოების. კრებას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ დარბაზში ტევა აღარ იყო, მაგრამ საზოგადოების ნამდვილ წევრთა რიცხვი 50 კაცს არ აღემატებოდა.

12 საათზე გაიხსნა კრება. თავმჯდომარემ აღნიშნა ღვაწლი საზოგადოების წინაშე საზოგადოების აწ უკვე გარდაცვალებულ წევრთა ვ. ლორთქიფანიძისა, გრიგოლ ვოლსკისა, პეტრე ეპისკოპოსისა და ინგლისელ ქალის ქ-ნ მარჟორი უარდროპისა და წინადადება მისცა კრებას, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულთა ხსოვნისათვის, რაიც შესრულებულ იქნა. ზ. ალ. დიასამიძის წინადადების თანახმად, კრებამ გამგეობას დაავალა საზოგადოების სახელით დეპეშა გაუგზავნოს განსვენებულ მარჟორი უარდროპის დედასა და ძმას და მწუხარება გამოეცხადოს.

დამტკიცებულ იქნა წასულ კრების ოქმები. შემდეგ დაიწყო 1908 წლის ანგარიშის განხილვა. რადგანაც ანგარიშთან კავშირი ჰქონდა საკითხებს ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის შენობის აგებისა და მაღაზიის წიგნების დაკარგვის შესახებ, გამგეობამ აცნობა კრებას თავისი დადგენილებანი. საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა იმ სამწუხარო ამბისა გამო, რომელსაც შედეგად მოჰყვა 6429 მანეთის დაკარგვა. ამის შესახებ გამგეობამ მოხსენება წარუდგინა საზოგადო კრებას. სხვათა შორის, მოხსენებაში ნათქვამია:

„1908 წელს, 18 დეკემბრის სხდომაზე, გამგეობამ გადასწყვიტა, საზოგადოების წიგნის მაღაზიისა და საწყობის დაწვრილებითი რევიზია მოეხდინა. ამისთვის არჩეულ იქმნა კომისია, სამის წევრისაგან, (ა. ყიფშიძე, ს. ფირცხალავა და ფ. გოგიჩაიშვილი.) რომელსაც დაევალა დავთრების განხილვა, წიგნების დათვლა და შემოწმება დავთრებთან და რევიზიის შედეგის მოხსენება გამგეობისათვის. კომისია სამ თვეს მოუნდა გამგეობის მიერ დავალებულ საქმის შესრულებას. მან დაწვრილებით გამოიკვლია მაღაზიისა და საწყობის ქონების ვითარება, ანგარიშები და დავთრების წარმოება და 9 აპრილს 1909 წელს გამგეობას წარუდგინა მოხსენება და სრული მასალა რევიზიისა. კომისიის მოხსენების თანახმად, რევიზიამ შემდეგი გარემოება აღმოაჩინა: 1 იანვარს 1909 წელსს საზოგადოების მაღაზიასა და საწყობს **აკლდა**: 2013 ცალი რვეული, 443 ცალი სურათი, 12878 ცალი სხვა და სხვა წიგნი, სულ **15334 ცალი.** ამ დანაკლისის ფასს შეადგენს 4611 მან. 75 კაპ., ხოლო დირებულება, ე. ი. ის ფასი, რაც უზის თვით ჩვენს საზოგადოებას,—**3032 მან. 81 კაპ** ამავე დროს აღმოჩნდა **მეტი**: 51 ცალი სურათი და 1384 ცალი სხვა და სხვა წიგნი, სულ **1435 ცალი**; ფასი: ამ ზედმეტისა არის 246 მან. 79 კაპ., ხოლო ღირებულება საზოგადოებისათვის—**168 მან. 85 კაპ. ზედმეტის გამოკლების შემდეგ რჩება დანაკლისი**: 2013 ცალი რვეული, 392 ცალი-სურათი, 11494 ცალი სხვა და სხვა წიგნი, **სულ 13899 ცალი. ფასი** ამ დანაკლისისა არის 4364 მან., 96 კაპ., ხოლო **ღირებულება** საზოგადოებისათვის—2863 მან. 96 კაპ."

რადგან მაღაზიის გამგის აზრით, კომისიამ სისწორით ვერ დასთვალა წიგნები, მეორედ დაინიშნა შემოწმება. კომისიამ ხელ-მეორედ შეამოწმა და შეასწორა ყველაფერი.

„ამ შესწორების შემდეგ კომისიის მოხსენების ციფრებში შემდეგი ცვლილება მოხდა: 1 იანვარს 1909 წელს საზოგადოებას **ჰკლებია**: 2013 ცალი რვეული, 392 ცალი სურათი, 6711 ცალი სხვა და წიგნი, სულ 9116 ცალი. **ღირებულება** ამ დანაკლისისა შეადგენს 2282 მან. და 07 კაპ. შესწორებული ანგარიში კომისიამ ხელ-ახლა წარუდგინა გამგეობას. გამგეობამ ჯერ ის საკითხი განიხილა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ცნობილი პასუხის მგებლად იმ დანაკლისისა, რომელიც აღმოჩნდა, და საგნის ყოველ მხრივ აწონდაწონვის შემდეგ მიიღო ასეთი დადგენილება: პასუხის მგებლად ცნობილ იქმნა უმთავრესად მაღაზიის გამგე, შ. ქუჩუკაშვილი, მაგრამ მასთან ერთად მდივანიც კონტროლის გაუწევლობისათვის. ამის შემდეგ გამგეობას კონკრეტიულად უნდა გადაეწყვიტა მაღაზიის გამგის პასუხის მგებლობა, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა მაშინ ნაადრევი აღმოჩნდა, ვინაიდან ერთ სპეციალურ კომისიას, შემდგარს ი. ღულაძისა, და კარიჭაშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილისაგან, გამგეობის მონდობილობით, დაწყებული ჰქონდა დამატებითი რევიზია წიგნების ვაჭრობის ანგარიშისა საკვიტანციო ბარათების მიხედვით და ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამიტომ იმ პირთა პასუხისმგებლობის ხასიათის გამორკვევა, რომელნიც ცნობილ იქმნენ პასუხისმგებლებად, გამგეობამ გადაუწყვეტელი დასტოვა იმ დრომდის, ვიდრე ხსენებული კომისია თვის შრომას დაასრულებდა და მოხსენებას წარმოადგენდა. წიგნის მაღაზიისა და მისი გამგის შესახებ გამგეობამ ამ სხდომაზე მიიღო შემდეგი დადგენილება: „დაევალოს მდივნის თანაშემწეს შ. ქუჩუკაშვილს, რომ წიგნების საწყობი ჩააბაროს მდივანს ს. ფირცხალავა'ს სიით. წიგნის მაღაზიაში დაითვალოს წიგნები გამგეობის წევრთა ი. ღულაძის, ფ. გოგიჩაიშვილის, ლ. ბოცვაძის და გ. ლასხიშვილის დასწრებით და სიით ჩაბარდეს შიოლ ქუჩუკაშვილს, რომელმაც უნდა ჰყიდოს ჩაბარებული წიგნები და სწეროს გაყიდულები ცალკე დღიურ ფურცელში; ეს ფურცელი ყოველ სალამოს უნდა გადასცეს ხოლმე ბუხჰალტერ დავთრებში აღსანიშნავად, ხოლო ნავაჭრი ჩააბაროს ხოლმე მდივანს".

„ამის შემდეგ წიგნების ვაჭრობის ანგარიშების შემმოწმებელმა კომისიამ სამი კვირის განმავლობაში მოასრულა თავისი რევიზია. ამ რევიზიამ ისეთი ფაქტი აღმოაჩინა, რომელმაც ამ შემთხვევაში ყოველგვარ უბედურობის მოლოდინს გადააჭარბა. აღმოჩნდა, რომ მაღაზიის გამგე დავთრებში შეტანილი ჰქონდა 2704 მანეთისა და 90 კაპეიკის ფასდადებით გაგზავნილი წიგნები, ხოლო ამის სამაგიეროდ საზოგადოებას არც ფული მიუღია, და არც ხელში შესაფერი დოკუმენტები მოეპოვება: გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ მაღაზიის გამგეს 1442 მან. და 60 კაპ. წიგნები გაუცია ნისიათ, რაზედაც გამგეობის ნებართვა არა ჰქონდა, და ამასთან არც რაიმე საბუთები აღმოაჩნდა წიგნების ნისიად წამღებთაგან, როცა კომისია შეეკითხა შ. ქუჩუკაშვილს დანაკლისის შესახებ, მან ვერავითარი გარკვეული პასუხი ვერ მისცა. სულ ჯამი აქ აღმოჩენილ დანაკლისისა შეადგენს 4146 მან. 96 კაპ.

„ამგვარად, საზოგადოების წიგნის მაღაზიის საერთო დანაკლისი, რომელიც რევიზიამ აღმოაჩინა, შემდეგია: გვაკლია წიგნებით 2282 მან. 07 კაპ., ფასდადების ანგარიშებით 2704 მან. 90 კაპ. და ნისიათ გაცემულ წიგნების ანგარიშით—1442 მან. 06 კაპ., სულ 6429 მან. 03 კ. ამ ჯამიდან დანაკლისი წიგნებისა—2282 მან. 07 კაპ. და ფასდადების ანგარიშებისა—2704 მან. 90 კაპ. უკვე შეტანილია ზარალად წარსული წლის საზოგადო ანგარიშში, ხოლო უდოკუმენტოდ განისეებულ წიგნების მოსალოდნელი ზარალი (1442 მან. 06 კაპ.) ჯერ კიდევ არ შეგვიტანია ზარალად. გამგეობა აგროვებს ცნობებს თვით იმ პირთაგან, რომელთაც ჩვენს დავთრებში ვალად აწერიათ ზემოაღნიშნული 1442 მან. და 06 კაპ.

დასასრულ დავსძენთ, რომ ასეთ სამწუხარო, ფაქტის აღმოჩენის შემდეგ გამგეობამ ყოველგვარი ღონისძიება მიიღო, რომ შემდეგში ამგვარი რამ აღარ განმეორდეს. მან შეიმუშავა სრული წესდება წიგნის ვაჭრობის წარმოებისათვის. საწყობი და მაღაზია ერთმანეთისაგან განცალკევებულია არის,—საწყობი აბარია გამგეობის მდივანს; მაღაზიის გამგეს კი წიგნები აქვს ჩაბარებული. მისი მოვალეობაა მხოლოდ მაღაზიაში ვაჭრობა და ნავაჭრის ჩაწერა დღიურს შემოსავლის დავთარში, ყველა სხვა ანგარიშები საერთო ბუხჰალტერიაშია მოთავსებული. ფხიზელი კონტროლია დაწესებული როგორც საქონლისა, ისე ფულის შემოსავლისა და ხარჯის მხრით, ასე რომ გამგეობას სრული იმედი აქვს, რომ შემდეგში ჩვენი საზოგადოების საქმეთა წარმოების წესრიგი შესამჩნევად იქნება გაუმჯობესებული.

მეორე მოხსენება შეეხებოდა ბიბ-

---

# სამჯერ რვა...*)

პატარა, კანჭებ ტიტველა და ცქრიალა გოგიამ ქუჩის კარებთან მარდი ხტუნვით და ცხვირის სრუტუნით მიირბინა და ზარს გულადად ჩამოჰკრა. მერე, მოაგონდა რა, რომ ცხვირში წვინტლმა გუშინ მასწავლებელთან საქმე გაუჭირა, წიგნები კარების საფეხურზე მარდად დაჰყარა, ჯიბიდან წითელ-არშიანი ხელსახოცი ამოიღო, შიგ მაგრა იხვინა და ზარს ხელ-ახლა ჩამოჰკრა. პატარა, მაგრამ უშნო ხმიანმა ზარმა კი არ დაიწკრიალა, ჩვეულებრივ დაიღრიალა და კარებშიც გასაღებმა დაიჩხაკუნა. გოგია ზედა სართულში მარდად ავარდა და თვალის დახამხამებაზე მასწავლებლის პატარა ოთახში გაჩნდა. მასწავლებელი, მეექვსე კლასის მოსწავლე უკვე მზად იყო და უცდიდა. გოგიას სიცოცხლეში ეს მესამე მასწავლებელი იყო. პირველი დედა, მეორე თვისი უფროსი ძმა, რომელიც ეხლა რუსეთშია და რომელსაც ყურს აგრე რიგად არ უგდებდა და მესამეც ეს მოსწავლე, მაღალი, წელში მოხრილი, შავთმიანი და სახე-წითელი, რომელიც ძალიან კეთილია, დედასა და ძმასავით ბევრს არა ყვირის. ეს მხოლოდ ბევრსა მასხარაობს და ცოტასა ჯავრობს. ცუდად დაწერილ გაკვეთილს რომ ჰნახავს იტყვის ხოლმე: ბატების ნავალსა ჰგავსო და თუ გაკვეთილის უცოდინარობას შეამჩნევს ვისმე, მაშინ დაურიდებლად ეუბნება: ლობიო ხარო. სხვანაირი გაჯავრება არ იცის და თუ დაიყვირებს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი რამ, რომელიც მოწაფეს ვერ დაუხსომებია ან რომელსაც ვერ მიმხვდარა, დაახსომოს და მიახვედროს. ცემა და თავში წაფარება, ხომ სულ არ იცის. ამიტომ გოგია ამ მასწავლებელთან სიხარულით მიდიოდა ხოლმე და თუ კაი გუნებაზე იყო გაკვეთილსაც კარგად მოუმზადებდა. გაკვეთილის მომზადება გოგიას, საზოგადოდ, კანონში არ ეწერა. რა საჭირო იყო რაღაც უსარგებლო ციფრების დახსომება და „დედა-ენიდან" ლექსების გაზეპირება. ეს ისეთი საქმე იყო, რომელიც მას საკუთრივ არავითარ სარგებლობას არ აძლევდა. მისით მხოლოდ დედ-მამა ერთობოდა და გაუგებარი იყო, რომ დიდები ამ სულელურ გასართობში ვიღაც, თუმცა კეთილს, მაგრამ მაინც უცხო კაცს თვეში ხუთ მანეთს აძლევდნენ. ერთი რამ კიდევ ვერ გაეგო გოგიას: რისთვის იყო, რომ ის სადღაც გიმნაზიაში ორჯერ მიიყვანეს, ერთი მაშინ, როდესაც თოვლი დადო და მეორედ კიდევ მაშინ, როცა ყურძენი შემოვიდა. იქ ვიღაცეებმა, რომლებსაც მასწავლებლებს ეძახდნენ, გოგია ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც შავ-ფიცრიანი და წითელ-ფეხება უცნაური სტოლები იდგა და ზედ აუარებელი ბიჭები ისხდნენ; იქ გოგიას რაღაცეები ჰკითხეს, დააწერინეს, აანგარიშეს და მერე დაითხოვეს, რის შემდეგაც დედა ტიროდა და ფიცულობდა, რომ გოგიამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ რიღაცის გულისათვის მისი შვილი არ მიიღეს.

— ისე მშვენივრად იცოდა რვაჯერ-რვა, ცხრაჯერ-ცხრა— ამბობდა დედა და ტიროდა; ვიღაცა კაცებს, იმათ, რომლებმაც გოგია იმ უცნაურ ოთახში შეიყვანეს, რაღაცას ეხვეწებოდა და ისინი-კი მხრების აწევით და ხელების შლით თავს იქნევდნენ.

— შენ-კი გასწყდი შე არ დასაცალებელო! — ხანდისხან გოგიას უჯავრებოდა ხოლმე ლოყა-დასველებული დედა—სულ ქუჩაში გაქვს სული და გული და სწავლა-კი ფეხებზე გკიდია.—ერთი ორჯერ კიდეც წაუმუჯლუგუნა, ამით ნაწყენმა გოგიამ ნიტკენი ადგილი მოიფხანა, დაიბუზღუნა და კარში გავარდა, სადაც ერთი გაკვრით ჩილიკა შორს გასტყორცნა. დედა-კი ვიღაცას მიუბრუნდა და არწმუნებდა:

— ისე მშვენივრად იცოდა რვაჯერ-რვა, ცხრაჯერ-ცხრა.

გოგია-კი ვერას მიმხვდარიყო და დედის უმიზეზო ცრემლები აკვირვებდა კიდეც, აჯავრებდა კიდეც და თანაც ენანებოდა.

ყველა ამის შემდეგ, დედამ გოგია ერთს სალამოს ერთ დიდ მოწაფესთან მიიყვანა და მას შვილის მომზადება სთხოვა. ამასთანავე არ დაივიწყა ეთქვა, რომ გოგიამ ყველაფერი კარგად იცის, მხოლოდ რაღაც მიზეზით არ მიიღეს.

— ისე იცოდა რვაჯერ-რვა, ცხრაჯერ-ცხრა.

— და ატირდა.

„ნუ თუ როცა ადამიანი ამ სიტყვებს იტყვის უნდა იტიროს?" ფიქრობდა გოგია.

ამ შემთხვევის შემდეგ, გოგიამ ახალ მასწავლებელთან წესიერად დაიწყო სიარული და სწავლა; უექველია იმიტომ, რომ კიდევ წაეყვანათ იქ, სადაც ის უცხო ხალხი იყო, რომელიც მას დააწერინებდა, წააკითხებდა, მერე გამოისტუმრებდა და მტირალ დედის წინ მხრებს ასწევდა.

ეს ახალი მასწავლებელი ჯერ რვეულებს გადასინჯავდა ხოლმე და დაიღრიჯებოდა, რადგანაც რვეულზე მელანი, სულ ცოტა, ორგან მაინც უნდა ყოფილიყო დაღვენთილი. რამდენს არა სცდილობდა წერის დროს გოგია, რომ მელანი თეთრ ქაღალდს შავ ცრემლად არ დასცემოდა, მაგრამ იმ ტიალ კალამს, აცა—და გავარდებოდა წვეთი. მერე გოგია მის აწმენდას მოინდომებდა ხოლმე და ყველა თითი კი გაესვრებოდა. ამის მოხებით რვეული სხვა ადგილასაც ითხუპნებოდა და „დედა ენის" ფურცლებიც ვეფხსავით ლაქებით იყო აჭრელებული.

რაკი მასწავლებელი რვეულებს ამ გვარად დაეღრიჯებოდა, მერე ჭუჭყიან და დაფლეთილ „დედა-ენას" იღებდა და ფრთხილად გადაშლიდა ხოლმე და გოგიას ერთსა და იმავე სტრიქონს ერთი ათჯერ მაინც წააკითხებდა. იმდენჯერ გაიმეორებდა ხოლმე გოგია ერთს სტრიქონს, ისე მოაბეზრებდა ხოლმე მას თავს, რომ გოგია დარწმუნებული იყო, რომ იგი არასოდეს არ დაავიწყდებოდა, მაგრამ არ გავიდოდა ხოლმე სულ ხუთი წუთი, და წაკითხული გოგიასთვის სრულიად უცხო ხდებოდა. ამაზე გოგიას ჯავრი მოსდიოდა. გამოცდილებით იცოდა, რომ რაც უფრო მალე დაიხსომებდა წაკითხულს, მასწავლებელი მით უფრო მალე დაითხოვდა ხოლმე. მაგრამ თითქოს ჯიბრზეო, სწორედ კითხვის დროს აგონდებოდა ხოლმე თავისი პატარა გიშერა, რომელიც ეხლა უექველია სადმე კიბის ქვეშა წევს მტვერსა და ნაგავში და გოგიას წვალებისა კი არა ესმის რა. ამ გიშერას გოგია მხოლოდ ღამ-ღამობით ეთამაშებოდა ხოლმე, როცა ძალიან დაბნელდება, ბიჭები შინ მიდიან და გოგია ქუჩაში მარტო რჩება. გიშერა ძალიან ჭკვიანი ძაღლია: მაგრამ ძვლები უყვარს და კუდზე ტრიალი იცის. თამაშობით დაღალული გოგია, ხშირად მასთან ერთად იძინებს ხოლმე კიბის ქვეშ, როცა ყველაფერი ეს მოაგონდება ხოლმე თავში ყველაფერი ერევა და ვერას იხსომებსა

დღეს კი მაინც ძალიან ცუდი დღე დაადგა მზის-ფერ თმიან გოგიას. დღეს ხუთი დღეა, სულ სხვა-და-სხვანაირი, სულ ახალი ამბები ხდება მას. ჯერ დილითვე, რომ გაიღვიძა სახლში დიდი მოძრაობა იყო, ყველაფერი იწმინდებოდა, ლაგდებოდა და სამზარეულოში ათასი საჭმელები მოეტანათ. გოგიას ეჭვიც კი შეეპარა: აღდგომა ან ახალი წელი ხომ არ არისო? მაგრამ არც სად გოზინაყი ჩანდა, არც პასკები. ქუჩაში რომ გავიდა, იქ ბიჭებს ჩილიკა ჯოხი ეთამაშა და აწიოწეს. ეს იშვიათი შემთხვევაა ხოლმე. სადილზე რომ დასხდნენ, ვიღაც სტუმრებიც იყვნენ. ერთმა მათგანმა მის დას თითზე ბეჭედი გაუკეთა. ამის მნიშვნელობას გოგია ვერ მიმხვდარიყო და იფიქრა: ალბად, ეს ასეა საჭირო; ისე როგორც ჩემი სწავლებაო.

ყველა ამის შემდეგ, მასწავლებელს გამოუცხადა, რომ დღეიდან ანგარიშს ოცზე მეტს ვისწავლითო. იმდენი რამ ახალი გადახდა მას, რომ ყველა ამისთვის თავი ვერ გაერთვა. იმის ცხოვრება სულ ქუჩაში გადიოდა ჩილიკასა და კოჭ-სალაში და ეხლა ძალიან უკვირდა, რომ მისი გონება სხვა რამეებსაც მიაპყრეს. მაინც რიგიანად ისწავლა. მხოლოდ

*) ეს მოთხრობა დაიბეჭდა ალმანახ „პირველ ნაბიჯში", N 2.

ლიოთეკა-მუზეუმისათვის საკუთარ შენობას. ვრცელს მოხსენებაში გამგეობა აღნიშნავს, რომ საზოგადოება დაარსებიდანვე ცდილობდა ამ დაწესებულებისათვის შესაფერ ბინის მოპოებას, მაგრამ, როგორც სხვა საქმეში, აქაც უსახსრობა უშლიდა ხელს. რადგან გამგეობას ამ საქმისათვის 11,000 მან. ჰქონია, იგი შეუდგა ზრუნვას ანდრეევის ქუჩაზე ილია ჭავჭავაძის-მიერ ნაადერძევ სახლის ძველ ნაწილის გადაკეთებას. დროებით იქ უნდა მოათავსოს მუზეუმი, ვიდრე ახალი და შესაფერი შენობა აიგებოდეს. ბ-ნ ს. კლდიაშვილის გეგმით შენობის შეკეთებას ისე, რომ ცეცხლის მხრივ უშიშარი იყოს, დასჭირდება სულ 11,607 მან., ხოლო ერთდროულად 4,810 მან. გამგეობას ფული ჰქონია, გარდა 2,810 მანეთისა, რომლის შესახებაც კრებას სთხოვა ნება რთვა, აიღოს საზოგადოების საგანგებო თანხებიდან სესხად. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შესანახად ყოველ წლივ გამგეობა, დაპირების თანახმად, მიიღებს ტფ. გუბერ. თავად-აზნაურობისაგან 2,000 მან.

წაიკითხეს სარევიზიო კომისიის მოხსენება. იგი სწერს:

ა) ანგარიში სწორედ არის შედგენილი და იქ გამოცხადებული ბალანსი, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ნუსხაც გამოყვანილია სრულიად თანახმად იმ დავთრებთან, რომელსაც გამგეობა აწარმოებს და ბ) გამგეობის მიერ ნაანგარიშევი „საზოგადოების“ ნაღდი ფული და სარგებლიანი ქაღალდები, იმავე დავთრების თანახმად, უკლებლივ ინახება ბანკებში. ამასთან კომისია მოგახსენებთ შემდეგ თავის მოსაზრებას: 1) შარშანდელი ზოგი შენიშვნები სარევიზიო კომისიისა წელსაც ძალაში რჩება, რადგან ამის შესახებ გამგეობას თავისი მოსაზრებანი კომისიისათვის წელს არ წარმოუდგენია. 2) სკოლების რევიზორები თავიანთ მოხსენებაში ხშირად ისეთ საგანს ეხებიან, რომელიც იმათ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს. ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ რევიზორებს საერთოდ სახელმძღვანელო ცნობა არა აქვთ დღემდე გამგეობისაგან მიცემული. 3) საჭიროდ მიგვაჩნია სკოლების რევიზორთა ანგარიში ჯერ სკოლის გამგეს გაეგზავნოს პასუხის მოსაცემად და გამგეობამ მხოლოდ მერე დაასკვნას თავისი აზრი. 4) გამგეობამ „საზოგადოების“ ბიბლიოთეკებიც უნდა შეამოწმოს ყოველ წელს და ამათ შესახებ მოხსენებაც თავისს წლიურ ანგარიშში მოათავსოს. 5) „საზოგადოების“ წიგნის მაღაზიის დანაკლისის შესახებ კომისიამ დაწვრილებით გაიცნო გამგეობის მიერ შემოღებული ზომები და, თუ ეს უკანასკნელი სავსებით განხორციელებული იქნება, იმედია შემდეგში სამწუხარო მოვლენა „საზოგადოებას“ ასცდება, თანახმად გამგეობის დადგენილებისა, კომისია ერთად-ერთ საშუალებად სთვლის მაღაზიის დანაკლისი „საზოგადოების“ ქონებას მოაკლდეს და ზარალად გამოცხადდეს. 6) კომისიას არა ერთხელ აღვინიშნავს, რომ „საზოგადოების“ მუზეუმის ნივთები აღნუსხული არ არის. დღესაც იმას ვამბობთ, რომ ამ გვარად მუზეუმის დაცვა-შენახვა შეუძლებლად მიგვაჩნია. 7) მუზეუმის ჭავჭავაძისეულ სახლში მოთავსება ანდრეევის ქუჩაზე კომისიას უხერხულად მიაჩნია უფრო იმ მიზეზის გამოც, რომ მთელი სამუზეუმო თანხა (ათას ას თუმნამდე მეტი), ორას თუმნის ზედ-მეტ ნასესხი ფულად, ამ საქმეს უნდა მოახმაროს გამგეობამ მაშინ, როდესაც თვითონ ამ სახლის პატრონობაც ჯერ ხანად საეჭვოა „საზოგადოებისათვის“, რადგან ამ შენობაზე ბანკის გაუსტუმრებელი ვალია. ამიტომაც ამდენი ფულის დახარჯვა, ისიც მუზეუმის დროებით მოსათავსებლად, კომისიას მით უფრო შეუძლებლად მიაჩნია. ილია ჭავჭავაძის სახელის საუკეთესოდ პატივისცემა იქნება, თუ ილიას სახელობის ფონდს მუზეუმის აგებას მოვახმარებთ და თვით მუზეუმსაც ილიას სახელს ვუწოდებთ. ამიტომ კომისია უმჯობესად სცნობს, მუზეუმის ეხლანდელი თანხა და ილიას სახელობაზე შეგროვილი ფონდი შეერთდეს და მუზეუმისათვის ცალკე სახლის აშენებას ეხლავე შეუდგეთ უფრო მოხერხებულსა და მოხდენილს ადგილას.

გამგეობამ სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო თავის განმარტება წარუდგინა კრებას. გამგეობა მუზეუმის საინვენტარო წიგნის შესახებ ამბობს, რომ მართალია, წიგნი არ არის შედგენილი, მაგრამ ეს შეუძლებელია დღევანდელ პირობებში. გამგეობას ისეთი პატარა სადგომი აქვს მუზეუმ-ბიბლიოთეკისათვის, რომ კაცს მოტრიალება გაუჭირდება კიდეც. შესდგომია საინვენტარო წიგნების შედგენას და როდესაც გადმოულაგებიათ ნივთები და გაუშლიათ, დარწმუნებულან რომ უფრო გაფუჭდებოდა და დაინტვრეოდა ნივთები ამიტომ გამგეობა სცდილობს განახორციელოს აზრი შენობის აგების შესახებ. რაც შეეხება სარევიზიო კომისიის წინადადებას მუზეუმის შენობის შესახებ, გამგეობა წინააღმდეგი არ არის ამისა, მხოლოდ საჭიროა კრების თანხმობა.

ამ მოხსენებათა განხილვის შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, გადაეწყვიტა: მუხლობრივ განეხილა ანგარიში თუ საზოგადო შენიშვნები გამოეთქვა. ამ წინადადების განხილვას მოანდომა კრებამ მთელი დღე.

პირველად ილაპარაკა პარ. ჭიჭინაძემ. იგი ყველაფერს შეეხო. ორატორმა დაიწყო იქიდან, რომ გამგეობა არ ასრულებს საზოგადო კრებების დადგენილებასაო, და მაგალითად ის მოიყვანა, რომ აქამდე წესდება არ შეგიცვლიათ და საწევრო გადასახადი სამ მანეთის ნაცვლად ერთი მანეთი არ დაუწესებიათ. მაშინ ათასობით შემოვა წევრებიო. გარდა ამისა, ანგარიში ძლიერ შაბლონურად სდგება. ყოველ წელს ცოტაოდენს ცვლილებას შეიტანენ—ეს არის და ესა, ორატორი გადავიდა მაღაზიიდან დაკარგულ წიგნებზე და განაცხადა, ბრალი ამ ბოროტ-მოქმედებაში მარტო მაღაზიის გამგეს არ მიუძღვის, დამნაშავეა მდივანი, მთელი გამგეობა და თვით მთელი კრება იმ დაუდევრობაში, რასაც შედეგად ასეთი საქმე მოჰყვა. ჩვენ არაფერი ვიცით, იქნებ ასეთივე ამბებია ბიბლიოთეკაში, მუზეუმში, სამკითხველოებში და სხვაგან. ჩემის აზრით, ანგარიში ჯერ-ჯერობით განუხილველი უნდა დარჩეს. ეხლავე უნდა ავირჩიოთ სპეციალური სარევიზიო კომისია და დავავალოთ ჩვენის საზოგადოების საქმეთა ვითარების შესწავლა და ხელ-ახლა შემოწმება დამოუკიდებლად გამგეობისა. როდესაც ეს კომისია წარმოგვიდგენს მოხსენებას, შეგვეძლება ვიქონიოთ თათბირი გამგეობის მოქმედებაზე. მაშინ დავდებთ შესაფერ მსჯავრს.

ს. ფირცხალავამ შეიტანა ფაქტიური შესწორებანი ბ-ნ ჭიჭინაძის სიტყვაში. მან განაცხადა: წესდება თვით საზოგადო კრებამ დასტოვა უცვლელად, თანახმად სპეციალურ კომისიის წინადადებისა. ანგარიშებში შესამჩნევი ცვლილებანი შევიტანეთ, თუმცა შეიძლება ანგარიშის ფორმის შეცვლა საუმჯობესოდ. საწევრო ფული წინანდელზე ეხლა მეტი შემოდის. წევრთა რიცხვის სიმცირის მიზეზი სამი მანეთი კი არ არის, არამედ საზოგადო ჩვენი დაუდევრობა და ინდიფერენტიზმი საზოგადო საქმეებისადმიო.

პარ. ჭიჭინაძეს მხარი დაუჭირეს ირაკლი რამიშვილმა, ი. კაჩუხაშვილმა, ნ. ელიავამ, ხარტიაშვილმა. სხვა ორატორები წინააღმდეგ აზრისანი იყვნენ. მაჭავარიანმა სთქვა: ზოგიერთი ორატორი, იმის მაგივრად, რომ საქმეზე ილაპარაკოს, აგიტაციას ეწევა სრულიად უსაფუძვლოდ. ბ-ნ რამიშვილს უნდა შევნიშნოთ, რომ აგიტაციას სხვაც შესძლებს. აქ საჭიროა ტყუილ-უბრალოდ დრო არ დავკარგოთ და ანგარიშის გარჩევას შევუდგეთ. ბ-ნ ჭიჭინაძის აზრი მარტივია. ის ეხება საზოგადოებაში მომხდარ სამწუხარო ფაქტს და ამბობს, გამგეობაც დამნაშავეა ამ საქმეში. ანგარიშის დამტკიცება შეუძლებელია, ჩვენ არ ვიცით, ეგები კიდევ ბევრი რამ აკლდეს საზოგადოების ქონებას და გამგეობას კი წარმოდგენილი არა ჰქონდეს. ავირჩიოთ კომისია და მან გამგეობის დამოუკიდებლად მოახდინოს რევიზია და შემდეგ საგანგებო კრებაზე განვიხილოთ კომისიის მოხსენებაო. ერთის სიტყვით, ჭიჭინაძე უნდობლობას უცხადებს გამგეობას, ახალ გამგეობას, რომელმაც აღმოაჩინა ბოროტ-მოქმედება. კომისიის არჩევა ამასა ნიშნავს. ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ რითი ასაბუთებენ ეხლანდელ გამგეობის დანაშაულობას? დიე, თვით გამგეობამ განგვიმარტოს, რა ხნის განმავლობაში ხდებოდა ბოროტ-მოქმედება, რა ურთი-ერთობა სუფევდა მდივანსა და მაღაზიის გამგის შორის. არსებობდა რაიმე ინსტრუქცია თუ არა. ყველაფერს ამას თუ იტყვის გამგეობა, დავრწმუნდებით, რომ ბოროტ-მოქმედებას თითქმის თერთმეტი წლის ისტორია ჰქონია. არავითარი საბუთი არ არის, უნდობლობა გამოუცხადოთ გამგეობას. მოვუსმინოთ განმარტება და შემდეგ შევუდგეთ ანგარიშის მუხლობრივ განხილვასაო.

მაჭავარიანს მხარი დაუჭირა ქრელაშვილმა და ქავთარაძემ.

ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა გამგეობის წევრმა ფ. გოგიჩაიშვილმა. მან გადასცა კრებას სამწუხარო მოვლენის ისტორია. მე შევეხებიო, სთქვა გოგიჩაიშვილმა, უკანასკნელ ათი წლის მოქმედებას. წინად გამგეობა ფაქტიურ რევიზიას ახდენდა როგორც წიგნის მაღაზიაში, ისე სხვა დარგებშიაც. 1901 წელს, მაგ., სპეციალურად დაავალა გამგეობამ თვის წევრთა შორის არჩეულ კომისიას (სხვათა შორის კ. ჯაფარიძეც იყო ამ კომისიაში) რევიზია მოეხდინა წიგნის მაღაზიისა და საწყობისა. ამ კომისიამ მაშინ აღმოაჩინა, რომ საზოგადოებას დაჰკლებოდა მხოლოდ 41 მანეთის წიგნები. შემდეგ წლებში (1902—1903 წ.) გამგეობაში ს. ფირცხალავას ოფიციალური განცხადებაც შეუტანია მაღაზიისა და საწყობის რევიზიის შესახებ. კომისიის წევრებად აურჩევიათ ნ. ელიავა, ი. ბარათაშვილი და კ. ჯაფარიძე. სამწუხაროდ, ამ კომისიას რევიზია არ მოუხდენია. შემდეგ წლებში (1904—1906) ისეთი ამბები იყო, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა არა თუ რევიზია, არამედ ორი კაცის ერთად თავისუფლად შეხვედრა. ყველგან თოფიანები დათარეშობდნენ და რევიზიაზე ფიქრი აღარავის შეეძლო. 1907 წელს შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. ამ წელს, როგორც საქმეებიდან სჩანს, მდივანს ორჯელ მიუმართავს გამგეობისათვის—საბუთები მაქვს, მაღაზიაში საქმეთა წარმოება კარგად არ მიდის და გთხოვთ რევიზია დანიშნოთო, მაგრამ გამგეობას ნაკლები ყურადღება მიუქცევია ამ საქმისათვის. აი ეს ხანაა, როდესაც მოხდა ხსენებული ფაქტი, რაც ჩვენთვის დიდად სამწუხაროდ მისაჩნევია. გარდა ამისა მაღაზიის გამგე ჩვენში ყველასგან პატივცემული პირი იყო და ეჭვი არავის შეეპარებოდა. ჩვენ ბევრი ვითათბირეთ და იმ აზრს დავადექით, რომ წიგნების უმეტესობა უნდა დაკარგულიყო მოძრაობის დროს, უფრო იმის გამო, რომ შიოს ბევრი საქმეები ჰქონდა, ხან აქეთ და ხან იქით დარბოდა და შესაძლებელია მაშინ ვისმეს წაეღოთ. მერე აღმოჩნდა, რომ ფას-დადებით გაგზავნილ წიგნებისა აკლდა 274 მან. მაშინ აზრი შეეცვალა. ასე იყო საქმე. გამგეობამ დამნაშავე დაგისახელათ, გაცნობათ ისიც, როდის მოხდა სამწუხარო ამბავი, რა პირობებში და ეხლა რომ კრებამ სარევიზიო კომისია აირჩიოს და ხელ-ახალი რევიზია დანიშნოს, ეს ის იქნება, რომ კრებას ეჭვი შეაქვს ჩვენს მოქმედებაში და აი ამიტომ ეს გამგეობას არ შეუძლიან ეს წინადადება მიიღოს.

კრებამ ბოლოს 35 ხმის უმეტესობით 16 ხმის წინააღმდეგ დაადგინა: მოსპოს კამათი და შეუდგეს მის მუხლობრივ განხილვას.

კრება მომავალ კვირისთვის გადაიდო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ეს-ეს არის განვიცადეთ ის, რასაც ისტორია უკვე „რუსეთის რევოლიუციას“ ეძახის. გუშინ და გუშინწინ მოხდა ყველაფერი, ჩვენის თანადასწრებით, ჩვენ თვალწინ და მრავალის ჩვენგანის მონაწილეობით. ცხოვრება გაყუჩებულიყო. თითქმის აშმორებულ ტბად ქცეულიყო. ადამიანები აჩრდილებივით დადიოდნენ. საკუთარი ძალა-სურვილი აღარავის გაჩნდა. ნაცვლად აღფრთოვანებისა სევდას დაებუდნა, ნაცვლად სიცილისა ყრუ კვნესა ჟაისმოდა, ნაცვლად სიცოცხლისა სიკვდილი გამეფებულიყო. და ამ უდაბნოში, ადამიანებით სავსე უდაბნოში ბატონებდნენ და ბრძანებლობდნენ ბნელი ძალები, ბოროტი სულები, მარტოოდენ მათრახისა და მუშტის მომხრეები.

მთელი საუკუნე ასე იყო, ასი წელიწადი, ასი გრძელი და დაუსრულებელი წელიწადი.

მაგრამ აი აღელდა ზღვა, მოსწყდა ტალღა და მოედო მთელ უზარმაზარ რუსეთს. გრგვინავდა, სჭექდა და ჰქუხდა. მთელი სამი წელიწადი ცხოვრება აბობოქრებულ ზღვას წარმოადგენდა. ენა ამოიდგა იმან, ვინც ამდენ ხანს გაჩუმებული იყო და თავის სურვილს თავის მისწრაფებას ხმა მაღლა, ყველას გასაგონად ამბობდა. აბა კარგად გაიხსენეთ ეს სამი წელიწადი, თვალი გადაავლეთ აქა-იქ ადგილებს ფინლიანდიიდან სპარსეთის საზღვრამდე და პოლონეთიდან დიდ-ოკეანემდე. ბრძოლა იყო, ბრძოლა მედგარი, დაუნდობელი და სისხლიც უზომოდ იღვრებოდა...

მთელი ეს ბრძოლა შედეგი იყო ასი წლის მონობისა და გამოიწვია იგი მრავალმა მოვლენამ. ისტორიას თავისი მსჯავრი ჯერ არ გამოუთქვამს, იმიტომ რომ ყოველივე ეს გუშინ მოხდა, მაგრამ როცა გამოსთქვამს, იგი მიზეზებს ამ ასი წლის ცხოვრებაში გამოსძებნის. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენებურ ისტორიკოსის ისტორიას ძალიან მოკლე ფეხები და ბეცი თვალები აქვს. ასეთ ისტორიის დამწერი გამოდგა, სხვათა შორის, ბ-ნი პ. გოთუა.

შაბათს გვაჩვენეს ქართულ თეატრში მისი პიესა „პარტიის კაცი?!“ საერთო შთაბეჭდილება პიესისა ერთადერთია, მთელი ეს მოძრაობა, დევ-გმირული ბრძოლა, თუ სხვაგან არა, ჩვენში მაინც, შექნა და გამოიწვია ორმასამმა გაიძვერა, თავის-კერძა მქადაგებელმა. გაიძვერა, ეგოისტ კაცს ყოველა დიდ საქმეში ნახავთ, მით უმეტეს სახალხო მოძრაობაში. დიადი სახალხო მოძრაობა მით [illegible] სხვათა შორის, დიდ [illegible] ყველას ითრევს თავის [illegible] სპეტაკსაც და [illegible] პირველს ქვეყნისთვის მსხვერპლად აწირინებს თავს, მეორეს მღვრიე წყალში თევზებს აჭერინებს. ყველგან, ყველა მოძრაობაში და რევოლიუციაში ასე ყოფილა და ასე იყო აქაც, მაგრამ საჭიროა ისტორიკოსი თუ მხატვარი, ჭკუით მახვილი და გრძნობით მდიდარი, რომ გაარჩიოს, სად არის მთავარი და სად—მეორე ხარისხოვანი, რა არის მიზეზი და რა შედეგი.

შეცდომა ბევრი მოხდა, უთვალი. გაიძვერა, დაცემული მომქმედიც ბევრი იყო. მაგრამ შეცდომა იქ არა ხდება, სადაც არაფერი კეთდება. სახალხო მოძრაობა ჩოხა არ არის, რომ ოსტატ თერძს ისე გამოაჭრევინო, როგორც შენ გეჭაშნიკება. აქ ყველაფერი მოულოდნელია, უცაბედი, და გამარჯვების ჟამს შეცდომები ჩაილურის წყალს ეძლევა. მაშინ წამოჰყოფენ ხოლმე თავს შეცდომები, როცა საქმე დამარცხებით თავდება. შეცდომა ყოველთვის უნდა აღინიშნოს; მაგრამ როდესაც მთელ მოძრაობას ერთ პარტიას ან, მით უმეტეს, ათიოდე გაიძვერას მიაწერ, ეს არც სინამდვილეს შეეფერება, არც სიმართლეს. დღესაც რუსეთში თავებს იმტვრევენ დამარცხების მიზეზის გამოსარკვევად, მაგრამ საბოლოოდ ვერა უთქვამთ-რა, ალბად იმიტომ, რომ მიზეზი ერთი და ორი კი არ იყო, არამედ უთვალავი და უფრო ღრმა, ვიდრე ამას პართენ გოთუა გვამცნევს.

დიაღ, საერთო შთაბეჭდილება პიესისაგან ასეთია: მოძრაობა, რომელმაც დედა-მიწა აალაპარაკა, თითქოს რაღაც პამპულაობა და მასხარაობა ყოფილიყოს. მაგრამ, ამას გარდა, პიესას უდის ის არა სასიამოვნო სუნიც, რომლითაც თითქმის მთელი ჩვენი ახალი მწერლობაა გაჟღენთილი. ეს გახლავთ არად ჩაგდება მოწინააღმდეგისა, რომელიც მოკლებულია ყველაფერს—ჭკუასაც, გონიერებასაც და მრავალ სხვა სიკეთესაც. ამ ჯურის მწერლობამ ფეხი მოიკიდა. ამას წინად გამოვიდა ქ-ნ აზიანის სცენები. სათაური აღარ მახსოვს. თუ არა ვცდები, წარმოუდგენიათ კიდეც. ასეა იქაც. მოქმედი პირები ორ ბანაკად არიან გაყოფილნი: ერთ მხარეს ანგელოზები არიან, მეორე მხარეს ეშმაკნი. რამდენადაც პარველნი სპეტაკნი და ბრძენნი არიან, იმდენად მეორენი ფლიდნი, გაიძვერანი, მატყუარანი. პუბლიცისტური წერილებიც ხშირია ჩვენში ამგვარი.

როგორც მხატვრული ნარმოები, ახალი პიესა არაფერს წარმოადგენს. ორიოდე მახვილი სცენა და ენა მოსწრებული ლაპარაკი—ეს არის და ეს მთელი ღირსება პიესისა.

წარმოდგენა რიგიანი იყო. ძალიან კარგი იყო კ. მესხი ჯერ რაზმელის და მერე პოლიციელის პატარა როლში.

ფასები ძალზე მოემატებინათ. ალბად ამიტომ ხალხი იმდენი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო.

---

**ავლაბრის სახალხო თეატრი.** კვირას, 6 დეკემბერს, ავლაბრის სახალხო თეატრში გაიმართა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საიუბილეო წარმოდგენა. მონაწილეობას იღებდნენ ავლაბრის სახალხო თეატრის ქართული და სომხური დრამატიული ხელოვნების მოყვარეთა დასი. წარმოდგენაში თვით იუბილიარიც იღებდა მონაწილეობას.

ჯერ რვა საათი არ იყო, რომ თეატრი გაიჭედა ხალხით. ეტლი გაჩერდა თეატრის წინ. შესავალში გაბუნია-ცაგარელს მიეგებნენ ქართველ-სომეხი ხელოვნების მოყვარულნი, ვაშას ძახილითა და სიმღერით მიიყვანეს სცენაზე. რვა საათზე დაიწყო წარმოდგენა. პირველად დასდგეს „ორი ბოთლის“ მეხუთე მოქმედება. თვით იუბილიარი, როგორც ყოველთვის, საუცხოვო იყო. რიგიანი იყო ქ-ნი მ. მარგველაშვილი ლუიზას როლში. ცოტა სიდინჯე აკლდა. შემდეგ სომხურად დასდგეს „დაქცეული ოჯახის“ მეორე მოქმედება. აღსანიშნავია, რომ ვაჟები უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე ქალები. ხალხმა ტაშით დააჯილდოვა მსახიობნი. „ხანუმას“ პირველი მოქმედება ცოცხლად ჩაატარეს. გამოვიდა თუ არა სცენაზე ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ხალხი ვაშათი და ტაშით მიეგება. ვანო ფანტიაშვილის როლში ი. ქიზიყელი გამოვიდა. თავში ცოტა სუსტობდა, შემდეგ როლში შევიდა და მოხდენილი ფანტიაშვილი იყო. ქაბატუჟს როლის აღმასრულებელი რჩეულიშვილისა ეტკაცს ყობა დახელოვნებული სცენის მო-

---

ერთი რამ გაუჭირდა: ვერას გზით ვერ დაიხსომა, რომ სამჯერ რვა ოცდა-ოთხია და არა ოცდა-რვა. რამდენს არ ეწვალა მასწავლებელი, რამდენს არ უხსნიდა და მაინც ვერას გახდა, გოგიაც ხან სწორედ იტყოდა თუ რამდენია სამჯერ რვა, ხან კი რაღაც ეშმაკი შეუჯდებოდა ხოლმე და შეშლიდა. ყველაზე საკვირველი ერთი რამ იყო: რა წამს მასწავლებელი დაიწყებდა სამჯერ რვის ახსნას და სთხოვდა ყურადღება მიექცია მისთვის, სწორედ მაშინ მოაგონდებოდა ხოლმე გოგიას, რომ დილას იმ ბიჭმა, ჩილიკა-ჯოხში ერთი გაკვრით მოუგო, მერე იმ დროს, როცა გოგიას გათავებამდის ათი ბიჯი-ღა აკლდა. მერე აგონდებოდა ის ორი ვაშლი და სამი კამფეტი, რომელიც დილას სამზარეულოში აწაპნა. ვაშლები კი ჩუმად სხვენზე შეჭამა, კამფეტები კი სარკმლის დარაბს უკან დამალა და დაავიწყდა: ვინ იცის მიაგნეს და შეჭამეს კიდეც, და ყველა ამის შემდეგ, გოგიას სამჯერ-რვისა აღარაფერი ესმოდა. რამდენსაც კი ჰკითხავდა მასწავლებელი, რამდენია სამჯერ რვაო, ის დაბეჯითებით და ცქვიტად უპასუხებდა.

—სამჯერ-რვა ოცდა-რვა.

და ხელ-ახლა იწყებოდა ახსნა, მტკიცება, ჩაგონება, ხელ-ახლა აგონდებოდა ჩილიკა ჯოხი, მოპარული ხილი და ყველა ამის შემდეგ გამოდიოდა, რომ:—სამჯერ-რვა ოც-და-რვააა.

მასწავლებელი ისევ ხსნას იწყებდა და გოგიას კი გული მოსდიოდა: „რას ჩამომაცივდა, რავქნაა; ახლა ამას რა უნდა, რომ მე ასე ვსთქვა: სამჯერ რვა ოც-და-რვა, უფრო კარგი არ არის? მე მინდა და ასე ვიტყვი: სამჯერ რვა ოც-და-რვა. ჩემი ნება არ არის?

ერთ ამისთანა უბედურ დროს, როცა მასწავლებელი ერთხელ კიდევ უხსნიდა, რომ სამჯერ რვა ოც-და-ოთხიაო, გოგიას მოაგონდნენ სტუმრები და ის, რომ მის დას ხელზე ბრტყელი ბეჭედი გაუკეთეს. „მაშ მაშას მალე წაიყვანენ“. გაიფიქრა გოგიამ, რადგანაც იცოდა, რომ მის ამხანაგს, ხარაზის ბიჭსაც ჰყავდა და, მაგრამ იქაც ერთ დღეს სტუმრები მივიდნენ, დას ხელზე ბეჭედი გაუკეთეს და მერე მალე სულაც წაიყვანეს, ხარაზის ბიჭი კი ტიროდა.

—მაშ, მაშას მალე წაიყვანენ!—ფიქრობდა გოგია. ძალიან ენანებოდა კეთილი და მხიარული მაშო და უნდოდა ჩქარა წასულიყო შინ, რომ თუ ვინიცობაა წაიყვანეს, მის უნახავი არ წასულიყო მასწავლებელი კი ლაპარაკობდა, რაღაცასა სწერდა და როცა ჰკითხა: მაშ რამდენია სამჯერ რვაო, გოგიამ ისევ ისე ძველებურად, გულადად და დაბეჯითებით უპასუხა:

—სამჯერ რვა ოც-და-რვა.

მასწავლებელს გული მოუვიდა, კალამი გადაახეთქა და წამოხტა. მერე მიუბრუნდა გოგიას და გაჯავრებულმა ჩამოციებით ერთი ოცჯერ მაინც გაამეორებინა: სამჯერ რვა—ოც-და-ოთხი, სამჯერ რვა ოც-და-ოთხია...

როცა მასწავლებელი დარწმუნდა რომ გოგიამ სამჯერ რვა უკვე დაისწავლაო, გაჯავრებით უთხრა:

—ადე, დაიკარგე აქედან.

გოგია მსწრაფლ წამოხტა, წიგნები აკრიფა, იღლიაში ამოიჩრა და ის იყო გასვლას აპირებდა, რომ მასწავლებელმა მიაძახა:

—მოიცა!.. რამდენია სამჯერ რვა?

—სამჯერ რვა ოც-და-რვა!.. მიახალა პირში გოგიამ და თან გული მოუვიდა: თუ შინ დამითხოვა ეგ ოხერი სამჯერ რვა რაღააო. მასწავლებელმა ერთი მაგრა გადააფურთხა და შეჰყვირა.

—სამჯერ რვა ოც-და-ოთხი! გაიგე შე ჩერჩეტო, ოც-და-ოთხი—ოც-და ოთხი...

ეხლა კი ძალიან გაბრაზდა მასწავლებელი. აქ ორ თვეში გოგიას ასე გაბრაზებული ერთხელაც არ უნახავს. თითონაც გაჯავრდა: ჯერ მასწავლებელზე, რასა ყვირისო და მერე თავის თავზე, რას ჩავაცივდი ამ საოხრო ოც-და-რვასაო. ამას უნდა, რომ ოც-და ოთხი იყოს და დეე იყოსო. ამიტომ შეჰყვირა:

—სამჯერ რვა ოც-და-ოთხი, ოც-და-ოთხი და ოც-და-ოთხი.

—აგრე! დაიკარგე და ხვალ თვალით არ დამენახო, თუ ეგ არ გეცოდინება, მიაძახა კარებში გასულ გოგიას გაბრაზებულმა მასწავლებელმა. გოგია ოთახიდან გავიდა. და კარი გაიხურა. მერე კარებისკენ მიბრუნდა და ენა გამოჰყო: ეს მასწავლებელს ეკუთვნოდა. მერე კიბეებზე ფეხის გულებით ჩქარ-ჩქარა ჩაცურდა და ხელად კარში გაჩნდა. თუმცა ქუჩის კარი გამოსაკეტად ისე ძალიან გაიჯახუნა, რომ მთელი სახლი შეინძრა, კარი მაინც ვერ გამოჰკეტა, მაგრამ ამას ყურადღებაც არ მიაქცია და ხტუნვით გაიქცა.

უკვე დასაღამოებულიყო და ჰაერიც განაცრისფერებულიყო. ქუჩის ორივე მხარეს სანათი ინთებოდა. დუქნებში გაჩაღებულ ლამფების შუქზე გარედ გამოწყობილი ყურძენი და ვაშლი ისე ბრიალებდა, რომ შიგ ადამიანის სახე გამოსჭყიოდა. გოგია თვალების ფაციცით მიდიოდა და იმეორებდა: სამჯერ რვა ოც-და-ოთხი, სამჯერ რვა ოც-და-ოთხი, სამჯერ რვა ოც-და-ოთხი. შემოდგომის თბილი და მოწმენდილი საღამო იყო. ციაგ ცაზე ვარსკვლავებმა ელვა დაიწყო. უცებ გოგიას წინ ორი ძაღლი გაჩნდა. ერთი დიდი, წაბლის ფერი და ბანჯგვლიანი, მეორე კი პატარა და გოგიას გიშერასავით შავი. ორივე ჩხუბობდა და ისეთი საკვირველი იყო, რომ ეს პატარა ფინია იმ ვეებერთელა მურას თითქმის ერეოდა. გოგია გაჩერდა. სალოკი თითი წვინტლ-მომდგარ ნესტოში შეიდო და ცნობის მოყვარეობით დაუწყო ცქერა. ის იყო პატარა ფინიამ დიდი მურია ფეხ-ქვეშ იგდო და უეჭველია კარგადაც დასთეთქვამდა, მაგრამ ამ დროს საიდანღაც საძაგელი მეეზოვე გაჩნდა—მეეზოვენი საზოგადოდ ძაღლებსაც ეჯავრებათ და გოგიასაც, იმიტომ რომ ისინი ძაღლებს სანაგვე ყუთში ჯდომას უშლიან და სცემენ, გოგიას კი ჩილიკას ართმევენ: სარკმლის შუშებს ამტვრეო.—მეეზოვემ მოჩხუბარ ძაღლებს ცოცხი წამოუსვა და გარეკა.

გოგია ერთ ხანს გარინდებული იდგა და მეეზოვეთა სისაძაგლეზე ფიქრობდა. მერე შუა ქუჩაში გაიხედა, იქ სადაც ეტლები დადიან. იქიდან ზარის ხმა ბოისმა:

—სამჯერ რვა ოც-და-რვა გაიფიქრა გოგიამ, შუა ქუჩაში ცხვირის სრუტუნით გადახტა და ტრამვაის ვაგონს გამოუდგა.

ი. ტა—შვილი.

ყვარეა. ტიმოთეც, სულთანიშვილი, კარგი იქნებოდა, რომ არ ცდილიყო ძალით ხმა გაეხრინწიანებინა და ბუნებრივად ეთამაშნა.

ბოლოს მილოცვები დაიწყო. უნდა აღვნიშნოთ მანდალინა-გიტარის დამკვრელთა გუნდი ანტრაქტებზედაც უკრავდა და მილოცვების დროსაც იღებდა მონაწილეობას. სცენაზე დიდი ტყე იყო, ბრწყინვალედ განათებული. შუაში ამაღლებულ ადგილზე იჯდა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. მარჯვნივ—ქართულ სცენის მოყვარეთა დასი და მომღერლები, მარცხნივ სომხურ სცენის მოყვარეთა დასი და მომღერლები. წინ პარტერსა და სცენის შუა, მანდალინა-გიტარის დამკვრელთა გუნდი.

პირველად მიულოცა ნასიძემ ქართულ სცენის მოყვარეთა სახელით. შემდეგ ხარაზიანმა—სომხურ სცენის მოყვარეთა სახელით. მერე ამრიგად—ერთი სომეხი, ერთი ქართველი. ბოლოს ილაპარაკეს სვიმონიძემ, მალხაზიანმა და ივანიძემ და ბ-ნ მალხაზიანის სიტყვა მშვენიერი იყო. ქართულ-სომხურმა ხოროებმა იმღერეს. ჯერ „მრავალჟამიერ“ მერე სხვა სიმღერები. ბოლოს ქართულმა ხორომ იმღერა „არალალი ვარალალი“, დაუკრეს ტაში და უცბად გამოხტა სოფლურად გამოწყობილი ყმაწვილი და დაუარა. მოხდენილად ითამაშა. გაჩაღდა ტაში—სცენაზე და პარტერშიაც. გაათავეს თამაში.

ნ. მ. ცაგარლისამ მადლობა გადაუხადა სცენის მოყვარეთ და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ოცდა ათი წელიწადი ვთამაშობ სცენაზე და ამ ხნის განმავლობაში სომხებიც და ქართველებიც მიკრავდნენ ტაშსაო. მოხარული ვარ, რომ ორი ერის წარმომადგენელნი ერთად შეკრებილხართ სახალხო სცენაზე. როდესაც საჭირო ვიყო მიმსახურეთო. კვლავ ტაში გაისმა.

იუბილიარს სომხურმა და ქართულმა დასმა ვერცხლის საჩუქრები მიართვეს. შემოსავალიც მას გადაეცემა.

—

**ვერის სახალხო თეატრი.** შაბათს, 5 დეკემბერს, ვერის აუდიტორიის სცენის მოყვარეებმა ავქ. ცაგარლის პირველ პიესის 30 წლის თავის აღსანიშნავად წარმოადგინეს პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. მონაწილეობას იღებდა ნ. გაბუნია-ცაგარლისა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ისეთი ვიწროობა იყო, რომ კაცს სუნთქვა უჭირდებოდა. ამას ვილა ჩიოდა, ზოგიერთებს გვერდები კინაღამ დაემტვრათ. გამგენი და მორიგენი ბევრსა სცდილობდენ წესიერება დაემყარებინათ, მაგრამ მათი ცდა ნაყოფს ვერ იღებდა თვით დამსწრეები შეუწყნარებლად იქცეოდნენ, არც ხვეწნა, არც მუდარა მათზე არ მოქმედებს. ყველა სცდილობს სხვის ადგილზე დაჯდეს და იუპიტერივით გამოიჭიმოს. წესიერებას არღვევდნენ თვით სცენის მოყვარე ქალები. გასაკვირველია კიდევა რომ „კულისებიდანაც“ ხალხი იცქირებოდა, ნამდვილი გალერეია იყო. თვით წარმოდგენაზე არაფერს ვიტყვი. ჩემზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ნამეტნავად პირველმა მოქმედებამ. თუ გამოვაკლებ ნ. გაბუნია-ცაგარლისას, გოცირიძეს, ლეხურელს, გოგიას, დანარჩენები არც ერთი თავის ადგილზე არ იყო. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ვერის აუდიტორიის სცენის მოყვარეებს სურვილი არა ჰქონდეთ მდაბიო ხალხს სამსახური გაუწიონ, მაგრამ მარტო სურვილი საკმაო არ არის, საჭიროა მეცადინეობაც, მომზადებაც და სხვა.

წარმოდგენის წინ გრ. ყიფშიძემ წაიკითხა ავ. ცაგარლის მოკლე ბიოგრაფია.

—

**ახალი პიესა.** ქართული დრამატიული დასი ამზადებს ახალ ორიგინალურ პიესას ს. გლახაშვილისას „წყურვილს“. პიესისათვის იხატება ახალი დეკორაციები. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. პიესას რეჟისორობს კ. შათირიშვილი.

—

**სახაზინო თეატრი.** ქ-ნი კომმისარჟევსკაია, რომლის წარმოდგენები დაიწყო კვირას, 6 დეკემბერს, ერთი საუკეთესო მსახიობთაგანია მთელს რუსეთში, ზოგიერთების აზრით ქ-ნი კომისარჟევსკაია ევროპის პირველ ხარისხოვან მსახიობ ქალთა სწორია. შეიძლება, ეს აზრი გადამეტებული იყოს, მაგრამ ის-კი ეჭვ-გარეშეა, რომ იგი რუსეთში მეტის-მეტად სახელგანთქმულია და მისი წარმოდგენები ყველგან საზოგადოების გულხმიერებას მალიან აღძრავს ხოლმე.

ქ-ნი კომისარჟევსკაიას ნიჭი, ჩემის აზრით, რეალურ კილოზე დაწერილ პიესების გმირთ უფრო შეეფერება, ვიდრე ახალ მოდის პიესებს, რომელსაც „სტილიზაცია“-ს უწოდებენ. მან სახელი სწორედ ამ გმირების გაპიროვნებით გაითქვა. მაგრამ, იმის მოღვაწეობაში იყო ხანა, როდესაც ახალმა მოძღვრებამ იგი ძალიან გაიტაცა და, ცოტას გარჩა, სრულიად არ დაამახინჯა მისი ნიჭი, მისი ტემპერამენტი. ეს მოხდა ყბად-აღებულ მეიერხოლდის ზედგავლენით. მეიერხოლდმა მოინდომა რაღაც უცნაურ სასცენო ხელოვნების შექმნა. ერთკილოვნება ხმის ზგერაში, უმოძრაობა სხეულისა და სახისა, ერთფეროვნება სცენის მორთვა-მოწყობისა—აი, რა იყო მეიერხოლდის მიერ გამოჩეკილი ახალი ფორმა სასცენო ხელოვნებისა. ქ-ნი კომისარჟევსკაიაც აჰყვა ამ ახალს სატყვას, რომელსაც არავითარი მგზნებარეობა და ცხოველი სული არ ეტყობოდა და დიდი საყვედურიც დაიმსახურა იმ პირთაგან, რომელნიც წინად გუნდრუკს უკმევდნენ მის ნიჭს. ორ წელიწადზე მეტი ტრიალებდა ქ-ნი კომისარჟევსკაია ამ ჯადოსნურ წრეში... მაგრამ ბოლოს მაინც დააღწია თავი ამ ხელოვნების მაჯლაჯუნას და ბ-ნ მეიერხოლდს თავის თეატრიდან ექსორია უქმნა. იმ რეპერტუარიდან, რომელიც მან გამოაცხადა სახაზინო თეატრში, თვალნათლივად სჩანს, რომ იგი კვლავ დაჰბრუნებია წინანდელ გზას.

კვირას მისმა დასმა წარმოადგინა ზუდერმანის ცნობილი პიესა „სამშობლო“. იშვიათად მინახავს ასეთი მწყობრი, ხელოვნური თამაშობა: დიდ არტისტებს საზოგადოდ ჩვეულებად აქვთ მდარე თანამშრომელთა შემოკრება თვის გარშემო. ეს არ ითქმის ქ-ნ კომისარჟევსკაიას დასის შესახებ. ბ-ნნი ფეონა (პასტორი), არკადიევი (ფონ-კელლერი), ნაროკოვი პოლკოვნიკი შვარცი და ქ-ნ ნარბეკოვა (ფრანცისკა) მეტის მეტად ხმა შეწყობილად და შნოიანად თამაშობდნენ. განსაკუთრებით ბ-ნი ფეონა იყო მოსაწონი. მშვენიერი ხმა აქვს, გრძნობა ნარევი, მრავალკილოვანი, საუცხოვო დიქცია და მეტყველი სახე.

მე პირადად ისეთი უზომო თაყვანის მცემელი როდი ვარ ქ-ნ კომისარჟევსკაიასი, როგორც სხვებსა სჩვევიათ არ შემიძლიან არ ვაღვიარო, რომ მისი მგზნებარე ტემპერამენტი, მისი დაკვირვებული გაპიროვნება ამა თუ იმ გმირის სულ ხორცის ძალისა—საამურად მოქმედებს მაყურებელზე, მაგრამ, ჩემის აზრით, მას როდი ჰხვედრია წყლად სწვდეს შენს ძარღვებს, შენს ნერვებს და თავის ნებაზე გარდაჰქმნიდეს შენს სულიერ ვითარებას, გიკარნახებდეს ერთ წამს სიხარულს და მეორე წამს მწუხარებას. ამიტომ, მე მგონია, რომ იგი განსაკუთრებულ რჩეულთა რიცხვს არ ეკუთვნის.

ასეთი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ მისმა გადმოცემამ მაგდას სულის კვეთებისამ. ჩემის აზრით, ამ როლში მსახიობმა ვერ მიაღწია ხელოვნების იმ უმწვერვალესობამდე, როდესაც თეატრალურ წარმოდგენასა და ცხოვრების სიცხადის შორის წაიშლება ხოლმე მათი გამათავთავადებელი ხაზი.

ან იქნება მსახიობი ქალი ვერ იყო გუნებაზედ, რადგან წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. ამის მიზეზია, ჩემის აზრით, მეტის-მეტად დიდი ფასები ბილეთებისა. **ი.**

**მოსკოვი.** ამ ჟამად მოსკოვში ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე ცნობილი მომღერალი ი. ტამაშევიჩი. ტამაშევიჩს უკანასკნელი სეზონი პარიზში უმღერნია „grand Opera“-ში, სადაც თავის სასიამოვნო ხმით აღტაცებაში მოუყვანია იქაური საზოგადოება და პრესაც.

„Le juornal“-ი სწერს: „სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ აღტაცებასა და სიმპატიას, რომლითაც ყოველ საღამოს ეგებება ბ-ნ ტამაშევიჩს საზოგადოება, მისი ვოკალური ნიჭი და ტკბილი ხმა ყველას აუწერელ სიამოვნებას გვაგრძნობინებს ხოლმე“...

„Matin“-ი ამბობს: ბ-ნ ტამაშევიჩის საუცხოვო ხმა შალიაპინის ხმას გვაგონებს. არტისტს იშვიათი ვოკალური ტეხნიკა აქვს. რომანსების ასრულებაში ტომაშევიჩს შეუძლიან კონკურენცია გაუწიოს საუკეთესო მომღერალთ“.

იანვარში არტისტი ლონდონში მიდის, სადაც მიწვეულია ერთი თვით. იქიდან დაბრუნებისას ტამაშევიჩი ტფილისში აპირებს ჩამოსვლას ორი კვირით.

**გბლ. შალიკაშვილი.**

# სასამართლო

**მკვლელობა.**

5 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბორჩალოს მაზრის სოფ. შახნაზარის მცხოვრებთა პეტრუზ ნარგიზოვისა, გეურქ პოღოსოვისა, მარქარ პოღოსოვისა და ოჰანეს პოღოსოვისა. ამათ ალექსი ავეტიქოვის მოკვლა ჰბრალდებოდათ წინდაწინვე განზრახული მიზნით.

1908 წელს, 9 ნოემბერს, დილით, სოფ. შახნაზარში ერთს კალოზე უნახავთ ტყვიით მოკლული კაცის გვამი. უცნობებიარ დარაჯისთვის მოკლული გამომდგარა ალექსი ავეტიქოვი. თოვლზე სისხლის და ადამიანის ფეხის კვალი შეუმჩნევიათ და როდესაც მიჰყოლიან ამ კვალს, მელო პოღოსოვის სახლამდის მიუყვანია, ხოლო ამ სახლზე ესე ოთხი საყენის დაშორებით შეუმჩნევიათ სისხლის გუბე, სადაც მოუკლავთ ალექსი. ავეტიქოვის ნათესაობას ეჭვით დაუსახელებიათ პეტროსა ნარგიზოვზი, გეურქა პოღოსოვზი და მარქარა მელოს ძე პოღოსოვზი. ამ განცხადების გამო დარაჯს გაუჩხრეკია მელო პოღოსოვის სახლი და საფუტკრე ოთახში სკების ქვეშ უნახავს თოფი და პატრონები. გამოკითხვის დროს მოკლულის ძმასაც ზემოდ დასახელებულ პირებზე მიუტანია ეჭვი და უჩვენებია: თვითონ მკვლელობის მნახველებმა ს. მარტიროსოვმა და ს. ავეტისოვმა გადმომცეს, თუ როგორ წაიყვანეს მელო პოღოსოვის ბაკში და თოფით მოჰკლესო. ამავე დროს ტყის მცველს მეხტი აბდულ-ოღლის უთქვამს, ზემოდ დასახელებულ პირებზე, რომ ოც თუმანს მაძლევდენ ა. ავეტიქოვის მოკვლაში, მაგრამ მე უარი ვუთხარით.

გამომძიებელთან ზემოდ დასახელებულ მოწმეებს იგივე გაუმეორებიათ, რაც დარაჯთან, მხოლოდ დავით ავეტისოვს დაუმატებია, რომ ერთხელ ალექსი ავიტისოვი და მარქარ პოღოსოვი უთოვილან ცხვარში, ღამე ალექსის შეუმჩნევია ჩრდილი, რომელიც უახლოვდებოდა ცხვარს და ამაზე იქვე მდგომ მარქარასთვის შეუტყობინებია, რომელსაც მაშინვე თოფისთვის წამოუვლია ხელი და უსროლია. როდესაც ახლო მისულა, შემოჩენილა, რომ თავისივე ძმა პოღოსა მოუკლავს. და სწორედ ამის შემდეგ შურს იძიებდნენ და მკვლელობის ერთი კვირის წინად თავსაც დაგვესხნენ ნარგიზოვი. მარქარ, გეურქ და ოჰანეზ პოღოსოვები და რომ არ გაქცეულიყო, ჩემი ძმის მოკვლა უნდოდათო. სხვა მოწმებსაც მათზე უჩვენებიათ და მოწამეს დავით აკოფოვს უთქვამს: იმ დილით, როდესაც გვამი ნახეს, კალოზე ვიყავი თივის წამოსაღებათ და ამ დროს მომესმა ფეხის ხმა და თავის ზვინს ამოვეფარე და დავინახე, რომ ნარგიზოვმა, მარქარა, გეურქა და ოჰანეზ პოღოსოვებმა ვიღაცის გვამი მოიტანეს და კალოზე დააგდეს, როდესაც ამათ წასვლის შემდეგ მივედი, გვამი ალექსი ავეტიქოვი გამოდგაო. ბრალდებულთ გამომძიებელთან სულ უარი უთქვამთ, მკვლელობის მონაწილენი არა ვართო.

სასამართლოში ამ საქმის შესახებ რვა მოწამე იყო დაბარებული, რომელთაც შესცვალეს თავიანთი წინასწარი ჩვენებანი.

ბრალმდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილნი ი. მ. დოლუხანოვი და ა. ყანჩელი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე პ. გედევანიშვილი. სასამართლომ ყველა ბრალდებული გაამართლა.

**ორი კაცის მოკვლა.**

ამავე დღეს ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე თავად მელიქიშვილის მოურავების ჯევადხანისა და შიხა მუდრისა. ამათ ორი კაცის მოკვლა ჰბრალდებოდათ.

ეს ამბავი ეხსომებათ მკითხველებს. 1909 წელს 20 ივლისს სადგურ სადახლოს ჟანდარმთან მისულა სოფლის სამმართველოს გადამწერი და გამოუცხადებია, რომ მტკვრის მახლობლად ორი მოკლული კაცის გვამი ვნახეთო. წასულა ჟანდარმი. მოკლულნი გამომდგარან ამიერ კავკასიის რკინის გზის კანტორის მოხელენი ი. ბოლდარევი და ა. კონშინი. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ეს მოხელენი ტფილისიდან წასულან სათევზაოდ და სწორედ მელიქიშვილის მამულში მტკვრის ნაპირას დაბინავებულან და დაუწყიათ თევზაობა. ამ დროს მისულა მოურავი ჯევადხანი და თევზაობა დაუშლია. საღამოს ისევ დაბრუნებულა შეიარაღებული და თან შიხა მუდი მოუყვანია. კიდევ დაუშლიათ თევზაობა, რის გამოც ჩხუბი მოსვლიათ. დევებს ჯერ ხანჯლით დაუჩეხნიათ და შემდეგ თოფებით მოუკლავთ. სასამართლოში გამოირკვა, რომ ჰბრალდებულს ჯევადხანს მხოლოდ ბოლდარევი მოუკლავს, შიხა მუდის-კი ბოლდარევის მკვლელობაშიც მიუღია მონაწილეობა და კონშინიც საკუთრივ მოუკლავს. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილნი სტეფანოვი და სპასკი.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და მიუსაჯა ორივეს პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ჯევადხანს—სამი წლით, ხოლო შიხა მუდის—$3^1/_2$ წლით.

**გაფლანგვა.**

7 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ვლადისლავ პეტკევიჩისა. 1902 წელს იგი დროებით მდივნად ყოფილა გორის სამაზრო სამმართველოსი. იმის სამსახურის დროს გორის საპატიმროს სამზრუნველო კომიტეტის დირექტორი ჯულაბოვი ოქროს მედლით დაუჯილდოვებია მთავრობას. კანონისამებრ მას სამი თუმანი უნდა გადაეხადა ხაზინის სასარგებლოდ, რაც შეუსრულებია კიდეც. ჯულაბოვს სამი თუმანი მაზრის უფროსისთვის პავლოვისთვის მიუტანია, ხოლო უკანასკნელს მდივნის პეტკევიჩისათვის გადაუცია, მას კი არსებული ბარათი არ მიუცია და ფული თვითონ მიუთვისებია. პასუხის გებაში მიცემულმა პეტკევიჩმა სასამართლოში ვერაფერი გასამართლებელი საბუთი ვერ მოიყვანა. მოწმეებმა ყოფილმა მაზრის უფროსმა პავლოვმა და ყოფილმა საპატიმროს უფროსმა ანანიაშვილმა დაამოწმეს ბოროტ-მოქმედება.

სასამართლომ პეტკევიჩს ერთი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

# უცხოეთი

**ჩინეთის რკინის გზები.**

„რეჩი“-ს სიტყვით შორეულ აღმოსავლეთის დღევანდელი მდგომარეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩინეთის მთავრობის მიერ ახალი რკინის გზების გაყვანასთან. გათავდა თუ არა რუსეთ-იაპონიის ომი, ჩინეთის მთავრობამ განიზრახა სამხედრო რეფორმების მოხდენა. გადასწყვიტეს ჯარის გაუმჯობესება და ახალი სტრატეგიული გზების გაყვანა.

ჩინეთის მთავრობამ საჭიროდ დაინახა პეკინი რკინის გზებით შეერთებოდა რუსეთ-ჩინეთის საზღვრის სხვა და სხვა ადგილებს. კიდეც შეუდგნენ რკინის გზების გაყვანას—პეკინიდან კალგანამდე. ამ წლის დასაწყისში ჩინეთის მთავრობამ განიზრახა კიდევ სხვა რკინის გზების აგება და რუსეთ-ჩინეთის საზღვრების სტრატეგიულ ადგილების პეკინთან შეერთება. მთავარ გზებად ჩაითვლება—პეკინ-კამგარის გზა, პეკინ-ციციკარ-ათგუნისა და პეკინ-კალგან-კიახტისა. უკანასკნელი გზა გაგრძელება იქნება პეკინ-კალგანის გზისა კიახტამდე.

ყველა ეს გზები რუსეთის საზღვრის ახლო გადიან. ომის დროს დიდს სამსახურს გაუწევენ ჩინეთს. ჯარის მიშველება და სურსათის გადაზიდვა მეტად ადვილი იქნება. რუსეთისათვის მეტად საზარალოა უმთავრესად ერთი გზა—პეკინ-კალგან-კიახტა. ეს გზა ციმბირის მთავარ ლიანდაგის ახლოა და აქედან შეიძლება შორეულ აღმოსავლეთი მოსწყდეს კიდეც, თუ ჩინეთმა მოინდომა და საკმაო ჯარი გადასხა.

ძველ ხელშეკრულებათა თანახმად ჩინეთს ეს რკინის გზები საკუთარი საშუალებით უნდა აეგო, უცხოელ ინჟინრების დაუხმარებლივ ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის გამგზავრებას შორეულ აღმოსავლეთში, სხვათა შორის ის მიზანიც ჰქონდა, რომ იაპონიის მთავრობასთან შეთანხმებულიყო. როგორც ვიცით ჩინეთის რკინის გზების გასაყვანად მოწვეულნი იყვნენ იაპონელი ინჟინრებიც. „რეჩის“ სიტყვით, კოკოვცევს ვერ მიუღწევია მიზნისთვის. ამ საკითხში ვერ შესთანხმებია იაპონიას.

**იაპონიის უკმაყოფილება.**

„ტაიმსის“ კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება ტოკიოდან, იაპონია უკმაყოფილოა, რომ ჩინეთის მთავრობამ ხელთ იგდო მუკდენ-ანგუნის რკინის გზის ლიანდაგის პოლიციის გამგებლობა. ეს ჩაიდინა ჩინეთმა იაპონიის დაუკითხავად, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრული მოლაპარაკება სწარმოებდა. იაპონიის პრესა აცხადებს, ჯერ ადრეა, რომ ჩინეთს ჩავაბაროთ მანჯურიაში მოსახლე უცხოელების სიცოცხლისა და საკუთრების დაცვაო.

**ოსმალეთი და საბერძნეთი.**

ათინიდან დეპეშით ატყობინებენ რუსეთის გაზეთებს, რომ დიპლომატების აზრით ოსმალეთისათვის მეტად სასურველია საბერძნეთთან მეგობრობა. თუ რაიმე შეტაკება მოუხდა ოსმალეთს ბოლგარიასთან ან სლავიანთა კოალიციასთან, საბერძნეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს, როგორც მეგობარი სახელმწიფო და ამიტომ თითქმის ას ოცი ათასი ჯარის კაცი განთავისუფლდება, საბერძნეთის საზღვრის დაცვა საჭირო აღარ იქნება. ბერძენთა დიპლომატების აზრით ოსმალეთის სურვილი საბერძნეთთან მეგობრობის განსამტკიცებლად უნდა გამოიყენონ, რომ დაიცვან ოსმალეთის ტერიტორიაზე მოსახლე ბერძენთა ინტერესები და აგრეთვე გადაწყდეს კრეტის საკითხი.

**სპარსეთის ამბები**

ეფრემას რაზმი ზენჯანში იყო გაჩერებული. თეირანიდან ბრძანება მიიღო თავრიზისაკენ გამგზავრებულიყო და ბოლო მოეღო ადერბეიჯანში რახიმ-ხანსა და შახსევანთა რაზმების თარეშისათვის.

ასტარიდან [illegible], რომ რუსის ჯარი ბაქოსაკენ ბრუნდება. აფიცრები [illegible] დებილში მშვიდობიანობაა: შახსევანთაგან განადგურებული არდებილი კვლავ შენდება. ვაჭრობაც ძველებურად ცხოველდება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ :**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აგეტისიანცი;** 11—12 ს, კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_2$ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
**ს ა ღ ა მ ო თ ი :**
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს, საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—232)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს.
(ნ.—19)




სენსაციონური ამბავი
200 მანეთად ღირებულ ოქროს საათის მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ საათი „ს ე ც ე ს ი ა“, რომელიც ფასონით და შნოთი არ ჩამოუვარდება ოქროსას. საათი ძალიან თხელია, ვერცხლის მანათიანის სითხისა, ამერიკულ ახალ ოქროსი, რომელიც თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ შნოს, ორგინალურ დაჭდეულ ყ ვ ა ვ ი ლ თ ა სურათებით (იხ. სურათი) საათი „ს ე ც ე ს ი ა“ გამოირჩევა სწორი სიარულით და მხატვრულად გამშნოიანებულობით; ღერძები ქვებზეა, იმართება 40 საათში ერთხელ. ფასი 3 მ. 75 კ., 2—7 მ.; ამასთანავე ქალისა 4 მ. 75 კ., უ ფ ა ს ო დ ემლევა ახალი ოქროს მშვენიერი ძეწკვი ბრელოკით და საათის შესანახად ზამშის ბუდე. საათი ეგზავნება გასინჯული, 6 წლის თავდებობით, ფას დადებით და უბეოდ. 2 ცალის გადაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). ადრესი: Т-ВО „АККУРАТНОСТЬ“, ВАРШАВА, ОТДѢЛ. 94. ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე. (Метцль и К-о № 76629)
(5—ნ,—3)

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო.
სასწორთა და საზომთა ტფ. შემმოწმებელი დაწესებულება № 24,
(მიხაილოვის პროსპექტი, სახლი № 117).
აუწყებს სავაჭრო დაწესებულებებს, აფთიაქებსა, ქარხნებსა, საქონლის საწყობებსა, კანტორებსა, ბანკებსა და სხვებს, რომ სავაჭრო წესდების მე-748 მუხლის ძალით, საზომებსა და სასწორებს საზომებისა და სასწორების შემმოწმებელ დაწესებულების ბეჭდები უნდა ჰქონდეს. ამიტომ ვთხოვთ სავაჭრო დაწესებულებებს, გასინჯონ სასწორები და საზომები (არშინები, გირები, ლუდისა და არყის ბოჭკები და სხვ.), აქვთ თუ არა საზომებს და სასწორებს ესეთი ბეჭდები. იმ შემთხვევაში, თუ სასწორს და საზომს ბეჭედი არ აღმოაჩნდა, სავაჭრო დაწესებულებების პატრონები მოვალენი არიან უბეჭდო საზომები და სასწორები შესამოწმებლად მოიტანონ ტფ. საზომთა და სასწორთა შემმოწმებელ დაწესებულებაში N 24, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართალში იქნებიან მიცემული.
სასწორთა და საზომთა ტფ. შემმოწმებელ დაწესებულების გამგე **ა. რეზნიკოვი.**
(2—ნ.—2)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

მათრახი
და სალამური
ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი
ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად
პრემიად გაეგზავნება
ახალი კრებული
ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.
**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.
ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.
1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლირკვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნ, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქურიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**
ჟურნალი წლიურად ღირს 5 მ. თვიურად 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Промъ“ Василію Карамановичу Болквадзе.
(10—ნ.—4)